№ 45

ოთხშაბათი, 1 მარტი 1895

გაზეთი ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1895

# ივერია

№ 45

ოთხშაბათი, 1 მარტი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227

**კონსტანტინე ივანეს ძე ჯაფარიძე** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მეუღლისა მისისა **გიორგი ვეზირიშვილის ასულის დარია ჯაფარიძისა** დანიშნულია ხუთს ამ თვეს, ქ. სიღნაღში, მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში, დილის ათს საათზედ.

(2—1022—1)

## წლიური საზოგადო კრება.

რადგან 19 თებერვლისათვის დანიშნული წლიური საზოგადო კრება ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთ-არ შესდგა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ, თანახმად წესდების § 15-ისა, კრება ხელმეორედ დანიშნულია 5 მარტისათვის, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, დილის 10 საათზედ.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 ენკენისთვიდგან 1893 წლ. 1 ენკენისთვემდე 1894 წ.

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის და წარსულის სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ.

3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1 ენკენისთვიდგან 1894 წ. 1 იანვრამდე 1895 წ. და მთელის 1895 წლისა.

4) მოხსენება გამგეობისა თავ. ივ. გ. მაჩაბლის მიერ საზოგადოების სახელზედ ბანკში შეტანილის ბროსეს პრემიის თანხის მოხმარების შესახებ.

5) მოხსენება გამგეობისა ბ. გ. დ. ქართველიშვილის შემოწირულების შესახებ.

6) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

7) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა.

---

ხუთშაბათს, 2 მარტს, ტფილისის საკრებულო დარბაზში გამართული იქნება კონცერტი „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ სასარგებლოდ. მონაწილეობას იღებენ მყოფი საიმპერატორო თეატრის არტისტი ა. დ. დავიდოვი, არტისტები: მ. ე. დარსკი, ვ. ა. აბაშიძე, გ. გედევანოვი, მ. პრესმანი, დუმა და მოყვარულნი: ქ. ქ. დევოს-სობოლევისა, მარცინკევიჩისა, ბბ. ვ. მ. თუმანოვი, მ. ბ. კოვალენსკი და თავ. ე. დ. ერისთავი. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

წინ-და-წინვე ბილეთების სყიდვა შეიძლება „ნოვოე ობოზრენიის“ რედაქციის კანტორაში, ხოლო კონცერტის დღეს საკრებულო კასაში.

3.—უ—2

---

მაქვს ფარჩაზედ დახატული თამარ დედოფლის სურათი ბალიშებისათვის, თითოეული ღირს 2 მანეთი, აგრეთვე ქართველების ყველა გამოჩენილის კაცის სურათი აბრეშუმის ცხვირსახოცზედ. თითო ღირს 60 კ.—1 მან. ხოლო წიგნში ჩასადებ ლენტებზედ დახატული 25 კ.—30 კ. თუ ჰსურს გამოიწეროს ვინმემ და ან გააიხატოს, ამ ადრესით მომმართონ.

ვანქის ქუჩა № 7, სახლი მურადოვისა, ალექსანდრა რადინოვისას.

# ახალი ამბავი

—

*** როგორც გაზეთი „ნოვოე ობოზ.“ იუწყება ს. ბალთასა და სურამის საბოქაულო ს. პატკინეთში მუცელა გაჩენილა.

სოფ. მარადიდი, (ქობულეთის ხეობა): აქ ისე თბილა, როგორც ზაფხული. მცენარეები ფოთლებით შეიმოსა და აყვავდა კიდეც. არ ვიცით, ამ დარებს რა ბოლო ექნება. ადგილ-ადგილ ყვავილი გაჩნდა, მაგრამ არავინ უმსხვერპლია.

*** სოფ. შორაპანი: ამ ორის წლის წინად ჩვენში ხიდი გააკეთა გედევან ჩუბინიძემ თავისის ხარჯით. დღეს ეს ხიდი ისე გაფუჭდა, რომ ადამიანის მეტს არავის შეუძლიან ზედ გავლა. გულ-საკლავი სანახავია წყალ-დიდობის დროს შავი ქვით დატვირთული ცხენი და ხარ-კამეჩი, რომელნიც იძულებულ არიან წყალში ჩავიდნენ და ხშირად უმარცხოთაც არა რჩებიან. ნეტა, თუ ვინმე გამოჩნდეს ისეთი კაცი, რომელმაც ამ ხიდის შეკეთება ითავოს. სულ ოთხი თუმანი ეყოფა შესაკეთებლად.

*** სოფ. ზაყა, (კავკავის მაზრა): ზაყაში კარგა ხანია, რაც ყვავანახველა მძვინვარებს, რომელიც დიდს ზარალს აძლევს მცხოვრებთ. ამ ბედისაგან დაჩაგრული ხალხისთვის პატრონი არსაით არის. ძალიან კარგი იქნება, რომ მაზრის უფროსმა ერთი ფერშალი მაინც გაგზავნოს ამ სოფელში და ამ საბრალო ხალხს დარიგება და შემწეობა აღმოუჩინოს...

*** კავკავი: კავკავის პოლიციის სამმართველოში მსახურებდა ერთი მოხუცებული აფიცერი ტომით ქისტი- დუნდა. ამას მთავრობისაგან ჰქონდა დავალებული, იარაღი აეხადნა, როგორც ქისტებისთვის ისე ოსებისა და სხვა თემის ხალხისთვისაც, რომელთაც იარაღის ტარების ნება არა ჰქონდათ. ექვსს ამ თვეს საღამოს მატარებლით დუნდა და ერთი იმისი ამხანაგი გაემგზავრნენ თავისს სოფელ ნაზრანისაკენ. ასე, ვახშმობა იქნებოდა, რომ ნაზრანის რკინის გზის სადგურზედ გადმოხტნენ; დუნდას აქ ურემი დაახვედრეს სახლიდგან. მაგრამ იმან ახმანაგს თურმე უთხრა: „პატარა-ხანს ფეხით წავიდეთო“. ცოტა რომ გაიარეს, გზას იქიდგან ვიღაცამ გადმოსძახა: ვინა ხართო“. მე ვარ დუნდაო, დაუძ ხა დუნდამ. შენთან ვიღა არისო,—ესა დესაო, უპასუხა დუნდამ. მაშ ჩვენც თქვენ გეძებდითო, დაიძახა ქისტურათ უცნობმა და რამდენიმე თოფი გავარდა კიდეც, საბრალო დუნდას, ერთი ტყვია შიგ პირში მოხვდა და მეორე მუცელში, დუნდა იმ წამშივე გადიცვალა. მისი ამხანაგი-კი თეძოში დასჭრეს მძიმედ. მეორე დღესვე ავაზაკების კვალს მიაგნეს, იქვე ახლოს ერთის ქისტის სოფელში. ათს ამ თვეს ამ საქმეზედ ბ-ნი ოლქის უფროსი წავიდა იმ სოფელში, სადაც დამნაშავე ეგულებოდა, შეჰკრიბა ხალხი და უბრძანა: „ერთის თვის განმავლობაში თუ არ აღმოაჩენთ დუნდას მკვლელს, იცოდეთ ერთს «პოლკს» ჯარს ჩაგიყენებთო“. მართლაც, როგორც ნამდვილად შევიტყეთ, სოფელს აღმოუჩენია ოთხი კაცი დამნაშავე და სოფლის განაჩენით წარუდგენიათ ბ. ოლქის უფროსთან.

## ქალაქის საბჭო.

27 თებერვალი.

27 თებერვალს შესდგა ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელზედაც ქალაქის მოურავის მოადგილემ ა. ა. ივანენკომ წაუკითხა საბჭოს პასუხი ქალაქის მიერ გაგზავნილის დეპეშისა დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძესთან შვილის გარდაცვალებისა გამო მწუხარების განსაცხადებლად და

---

# ფელეტონი

## გაზაფხული.

განახლდა ქვეყნის კვლავ სული,
გადურჩა თოვლს და ყინვასა,
არე მკერდ აყვავებული
აღარ ჰკვნესს, აღარ ჰგმინავსა!..

—

სითბო დამკვიდრდა... ხალისი
მბრძანებლობს ტყედ და ველადა;
სტირს მთათა თეთრი სამოსი,
დნება და დნება ცრემლადა,

—

ძირს ნაკადულად ჩამორბის,
აღგვას უპირებს მტრობასა,
იმედს ჰრგავს, ნუგეშს ზედა ჰმყნის:
მოიწვევს თანაგრძნობასა!

—

და სადაც ტახტი დადგმული,
ჰქონდა ყინულთა მრავლობას,—
იქ ვარდი ჰყვავა, ბულბული
აღარ ათავებს გალობას!..

—

ეჰ, ნეტავი შენ, ბუნებავ,
დრო გადგას განახლებისა,
ვერ გჯაბნის დაძაბუნება,
ვერც სუსხი ძლიერებისა;

—

ყოველ-წლივ ჰხარობ, იმკობ გულს..
მეც ებ მშურს, ეგვე მწადია:
დავბრმავდი... ვერ ვჰჭვრეტ გაზაფხულს
ეს ასი წელიწადია!..

გრ. აბაშიძე.

## ვინ არის დამნაშავე?

პეტერბურგის ოლქის სამსჯავროში გარჩეულმა ამ დღეებში ერთმა სისხლის სამართლის საქმემ მთელის რუსეთის ყურადღება მიიქცია. ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს ახალგაზდა ქალი პალემი, რომელმაც მოჰკლა დამბაჩით სტუდენტი დოვნარი. მიზეზი მკვლელობისა, როგორც აღმოჩნდა საქმიდგან, ყოფილა ისა, რომ დოვნარი რამდენსამე წელიწადს სცხოვრებდა თურმე პალემთან და ჰპირდებოდა შეგირთავო. მაგრამ ბოლოს ამ ყმაწვილმა გადაწყვეტილი უარი უთხრა თავისი საცოლეს და ისიც იმ გვარის კილოთი და სიტყვა-პასუხით, როგორც აღიარებს პალემი, რომ ახალგაზდა ქალმა ველარ აიტანა ვერც ამდენი მოტყუება და ვერც ამ ეთი შეურაცხყოფა და დამბაჩა დასცა თავისს საყვარელს საქმროს.

ეს ქალი, როგორც ზევითა ვსთქვი, მსაჯულებმა გაამართლეს; მაგრამ სასჯულო საქმეთა მინისტრის ბრძანებით პროკურორმა საქმე უმართებულესს სენატში გადაიტანა და ამ გვარად რუსეთის სამართლის პირველმა წარმომადგენელმა, მინისტრმა მურავიევმა, საქვეყნოდ დაჰგმო განაჩენი პეტერბურგის ოლქის ნაფიცმსაჯულთა.

საყურადღებო და ღირს-შესანიშნავი, ამ შემთხვევაში მხოლოდ ეს გარემოება არის; თორემ რაც შეეხება თითონ საქმეს, რომლის გამო მინისტრი წინააღმდეგი შეიქნა ნაფიც-მსაჯულთა დადგენილებისა—ეს ისეთი ჩვეულებრივი საქმეა, რომლის მსგავსი ყოველ წელს ხდება აქა-იქ და საზოგადოების სინიდისსა და აზრს სრულიად ჩვეულებრივ, ნორმალურ შემთხვევად მიაჩნია.

როგორც პროცესსიდგან აღმოჩნდა, პალემის ქალი დოვნარის გაცნობამდე სუბუქის ყოფა-ქცევისა იყო. მაგრამ დოვნარი მაინც ხუთს წელიწადს სცხოვრებდა ამ ქალთან და აიმედებდა, რომ ჯვარს დავიწერო. ამ ახალგაზდა კაცს თუმცა პირველ ხანებში ძალიან უყვარდა პალემის ქალი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გული გაუგრილდა, თუმცა კავშირი მასთან-კი არ შეუწყვეტია. რაც შეეხება პალემის ქალს—იგი პირველის დღიდგან უკანასკნელ წამამდე გაგიჟებული იყო დოვნარის სიყვარულით და მხოლოდ იმ იმედით სულდგმულობდა, რომ ერთს დღეს საყვარელის კაცის მეუღლე შეიქნებოდა.

როგორც ვხედავთ, მოთხრობილი ამბავი ჩვეულებრივი რომანია და თუ ასეთის ყურადღების ღირსი შეიქნა იგი, მხოლოდ იმიტომ რომ საქმე პეტერბურბურგში გაირჩა და სატახტო ქალაქის ჟურნალ-გაზეთებმა მორთეს ამ საგანზედ ლაპარაკი.

მაგრამ ამ გვარივე შემთხვევა რომ ტფილისის ან ქუთაისის სამსჯავროში გარჩეულიყო, დარწმუნებული ვარ, ბევრს კავკავშიც არ ეცოდინებოდა, არა თუ რუსეთისათვის გამხდარიყო სამუსაიფოდ და საბაასოდ.

როგორც მწერლობა, აგრეთვე საზოგადოებაც პალემის დანაშაულობის შესახებ ორ ბანაკად გაიყო. ერთნი ამბობენ, რომ დოვნარი ვალდებული იყო შეერთო პალემი. ამას მოითხოვდა სინიდისი და სამართლიანობა, რადგანაც ხუთს წელიწადს ქალთან სცხოვრებდა და არწმუნებდა, რომ შეგირთავო. სამსჯავროში ნაფიცი ვექილი ანდრეევსკი და სტუდენტი თავადი თუმანიშვილი თამამად გამოესარჩლნენ ბრალდებულს; მეორენი-კი ამტკიცებენ, რომ პალემის ქალი დამნაშავეა, რადგანაც იგი დოვნარის გაცნობამდინაც სუბუქის ყოფა-ქცევის არსება ბრძანდებოდაო.

ამ რიგად სჯიან და ბჭობენ დღეს იმედგაცრუებულის და შეურაცხყოფილის ქალის საქციელს.

ერთად-ერთ საფუძვლად პალემის დამნაშავობისა მოწინააღმდეგეთ ის მოჰყავთ, რომ დოვნარმა თავისი საყვარელი იპოვა უკვე ცოდვასა შინა შთავარდნილიო.

მაგრამ პალემის ქალი რომ პირნათლად შეჰხვედროდა ახალგაზდა ინტელიგენტს და ეს ინტელიგენტი მაინც ისე მოქცეულიყო, როგორც მოიქცა დოვნარი, ე. ი. უარი განეცხადებინა შერთვისა, მაშინ რა სასჯელის ღირსი იქნებოდა იგი საზოგადოების წინაშე,—კანონის წინაშე უმანკო ქალის მოტყუება, შვილის გაკეთება და მერმე დაგდება ისეთი საქმეა, რომლისათვის პასუხის მოთხოვნა შეუძლებელია ახლანდელის სამსჯავროს წეს-რიგის გამო და მეორე, იქნება არც საკადრისი იყოს—ყოველ ამაზედ კაცი არას ამბობს!

შემდეგ წერილში მე ვსინჯავ გავარჩიო ეს საგანი; ვეცდები, დავაფასო საზოგადოებრივი სინიდისი, რომელიც არავითარს ღონისძიებას არ ჰხმარობს, რომ რიცხვი გაუბედურებულ ახალგაზდა ქალთა შემცირდეს და საზოგადოება გულ-გრილად არ ეკიდებოდეს ისეთს დანაშაულობას, რომლისათვის იქნება სამარცხვინო ბოძზედ ჩამოკიდებაც-კი არ კმარის.

ხოლო რაც შეეხება თითონ პალემის ქალის საქციელს, საყვარელის კაცის შესახებ, რომელმაც იგი მოატყუა, ამაზედ მე შემდეგში ვილაპარაკებ.

იმედი მაქვს, ჩემი უფროსნი და უმცროსნი დანი ქართველნი დამეხმარებიან, რომ ერთი რამ ჭეშმარიტი და საზოგადოებისთვის სახელმძღვანელო აზრი გამოვარკვიოთ.

მანდილოსანი.

პასუხი. აგრეთვე კრებასვე აცნობა, რომ ქალაქის გამგეობა იყო დიდ მთავარ ნიკოლოზ მიხეილის ძესთან და თავისი სამძიმარი განუცხადა, რის გამოც მისმა უმაღლესობამ მადლობა გარდაუხადაო. შემდეგ ქალაქის მოურავის მოადგილემ შეატყობინა საბჭოს გარდაცვალება მ. ბ. ბეჟანოვისა, რომელიც წინა წლებში კანდიდატი იყო გამგეობის წევრისა და, ამას გარდა, საერთოდ ხმოსანი დამსწრეველი საზოგადოების მართველობის წევრი იყო ამა საზოგადოების დაარსებიდგან გარდაცვალებამდე და დიდი ერთგულებითა და მხნეობით ეკიდებოდა ამ საქმეს. აცნობა, რომ ქალაქის გამგეობამ გვირგვინი დაადგა გარდაცვლებულის ცხედარს და სთხოვა საბჭოს, ფეხზე ადგომით სცეს პატივი გარდაცვლებულის ხსოვნებას. საბჭომ მიიღო ეს წინადადება და ფეხზე ადგომით პატივი-სცა განსვენებულს.

შემდეგ საბჭომ გაარჩია თხოვნა მეეტლეებისა, რომ ცხენების ხარჯი პირველ მარტის ნაცვლად პირველ აპრილს გარდავახდევინოს ქალაქმა დაუჯარიმებლადაო. საბჭომ ეს თხოვნა შეიწყნარა, რადგან ეს ხარჯი შეუტანელი ჰქონიათ მხოლოდ ღარიბ ხელ-მოკლე მეეტლეებს და მაინცთაზე ამაზის ჯარიმის გარდახდა მათთვის დიდად სამძიმო იქნებოდა.

დანარჩენ განხილულ საქმეთა შორის საყურადღებო იყო თხოვნა საზოგადოებისა, რომელიც სახალხო კითხულობს სხვა-და-სხვა ადგილ გასაგებ სამეცნიერო წიგნებს. ეს საზოგადოება სთხოვდა საბჭოს, შემწეობა აღმოუჩინოს ფულად, რადგან ამ საზოგადოებას დიდი სარგებლობა მოაქვს ტფილისის მცხოვრებთათვისაო. საბჭომ დაადგინა, ამ საზოგადოებას შემწეობად ერთ-გზობით მიეცეს წრეულსავე 300 მან.

ამას გარდა, ამ სხდომაზევე საბჭოს მიერ განხილულ იყო რამდენიმე სჩივარი ტრაქტირების პატრონებისა, რომელნიც სჩიოდნენ ცუდად არის განაწილებული ,,средний акцизъ"-ით. ეს თხოვნანი საბჭომ არ შეიწყნარა, რადგან თვით ტრაქტირების პატრონებისაგან ამორჩეულმა კომისიამ გაანაწილა ეს ხარჯი და მაგათ უკედ იციან, ვის როგორი ვაჭრობა და შემოსავალი აქვსო.

## კორესპონდენცია.

**სოფ. ლეხაინდრაო**, (სენაკის მაზრა). ჩვენს საზოგადოებაში მოხდა ფრიად სასიამოვნო და სასიხარულო ამბავი: დღეს, ცხრა წლის ბრძოლის შემდეგ, ლეხაინდრაო-ონოღის საზოგადოების მღვდელთა და ერთა შემწეობით დაარსდა ორი სამრევლო ერთ-კლასიანი სკოლები. ამ ოთხის სოფლის საშუალ ადგილებში უნდა იქნას აგებული სკოლისთვის შესაფერი სახლები, ეხლა-კი სკოლა თავისის მასწავლებლითა და ერთს დღეს მოგროვილის ასაზე მეტის შეგირდებით მოთავსებული არის სასოფლო კანცელარიის შენობაში. ამ ბლაღოჩინმა ანტონ კვეციამ, სხვა სამღვდელოებთა დახმარებით, აკურთხა ახლად დაარსებული სკოლა რომელზედაც დაესწრნენ ადგილობრივი პოლიციის ნაწილის ბოქაული ბ-ნი გ. ფიცხელაური, დირექტორი და ინსპექტორი სენაკის მაზრის სამრევლო სასწავლებლებისა, დ. ე. ალაძეილი, სტ. შ. ძიმისტარაშვილი, სამღვდელონი, ჩვენის საზოგადოების კეთილ-მობილნი და სხვანი. ამის შემდეგ გამართული იყო სადილი ყველა სამპატიო სტუმართ თვის და ამ სადილზე წარმოითქვა არა ერთი შინაარსიანი სიტყვა, რომლის შინაარსს და დაწვრილებით ამბავს ჩვენის სკოლისას და აგრეთვე იმისს დასაარსებლად შემომწირველთა სიას შემდეგ გაცნობებთ.

მიხ. ხაინდრავა.

**სოფ. ზემო-მარადიდი**, (ჭოროხის ხეობა). არავითარი ღონისძიება არ შეეძლიათ, რომ აქ კაცის კვლა შეამცირონ, რის გამოც დიდს შეწუხებაში სასამართლო; თუ ისე არ გავა, რომ კაცი არ მოკლან, რომლის უმთავრეს მიზეზიც ქალის მოტაცება არის ხოლმე. ამ თებერვლის ექვსს შუადღეზე ერთი ყმაწვილი კაცი სასახე მეშიმ-ოღლი მოჰკლა რეჯებ-ალა სოფი-ოღლიმ. მიზეზი ის იყო, რომ მეშიმ-ოღლიმ ერთი წლის წინად ხსენებულს რეჯებ-ალა სოფი-ოღლის დას პირზედ მანდილი აჰხადა თურმე, რომელიც მამადიანთა რჯულში დიდ ცოდვად და სირცხვილად ითვლება; ამის მიზეზით ისინი ერთმანეთს გადამტერნენ. ექვსს ამ თვეს მეშიმ-ოღლი მიდიოდა თავისს სახლისკენ; როდესაც გაიარა სოფი-ოღლის ეზოსთან, სოფი-ოღლი იქვე ეზოში მიეწია, ეს იმიტომ მოიარა, რომ ჩემი და უნდა მომტაცოსო, ესროლა თოფი, მოჰკლა მეშიმ-ოღლი და თითონ-კი ფირალად გავარდა. როგორც ამბობენ, მეშიმ-ოღლის მართლა უნდოდა თურმე იმ ქალის მოტაცება, რადგან იქვე სფარის ტყეში ჰყოლია ამხანაგები დამალული. ამ საქმეზე გამოძიება სწარმოებს.

ნიკოლოზ ერქომაიშვილი.

## ბატონის „ლალის“ წერილის გამო *).

დიდის სიამოვნებით წავიკითხეთ ბ-ნ ლალის მეთაური წერილი ამ წ. „ივერიის“ მე-39 №-ში დასტამბული და «ღია წერილი» ქ. ნ. ყიფიანის რედაქციის შენიშვნითურთ იმავე გაზეთის მე-43 №-ში დაბეჭდილი. ბ-ნი ლალის წერილი შეეხება მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების განკარგულებას, რომლითაც სტუდენტებს აღეკრძალათ ერთობის წრეების და სხვა ამგვარ დაწესებულებათა დაარსება და ქართველთა სტუდენტებთა დამხმარებელ საზოგადოების დაარსება, ხოლო ქ. ნ. ყიფიანის „ღია წერილი“ და რედაქციის შენიშვნა გამოიწვია ბ-ნ ლალის მეთაურმა და შეეხება „სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებისავე“ დაარსებას.

ჩვენ არ ვიცით, ბ-ნ ლალი ვინა ჰყავდა მხედველობაში, როდესაც ბრძანებდა ,,...წესდება უკვე შემუშავებული იყო და დამხადებული სადაც ჯერ არს წარსადგენად, მაგრამ საქმე მიჩუმდა და არავინ იცის, რა მდგომარეობაშია ახლა‘‘-ო, ხოლო რაკი ჩვენც ვმეცადინეობთ ამგვარი საზოგადოების შედგენას და ამ აზრით 1892 წ. შევადგინეთ კიდეც ნიმუში წესდებისა და აქამდის განუხორციელებელი დარჩა, ე. ი. ბ-ნ ლალის სიტყვით ,,მიჩუმდა‘‘, საჭიროდ ვრაცხთ, ვთქვათ ორიოდე სიტყვა როგორც შესახებ ამ საქმის დაწყებისა, აგრეთვე ,,მიჩუმების‘‘ მიზეზებისა.

1892 წ. განვიზრახეთ რა მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების დაარსება, შევადგინეთ ნიმუში წესდებისა და გავუგზავნეთ საქართველოს ყველა თვალსაჩინო კუთხეში ორმოცამდე მცოდნე, გამოცდილ პირთ და ვთხოვეთ თავიანთი შენიშვნები გამოეგზავნათ. ამ ორმოც პირთა შორის თანაგრძნობა და ყურადღება მოვიპოვეთ მხოლოდ ექვსისა, გარდა ქ. ქუთაისის ინტელიგენციისა, რომელთაც კერძო კრებაზედ გაესინჯათ ეს წესდება და მიენდოთ მარად პატივცემულ თ. კირილე ლორთქიფანიძისათვის უმრავლესობის მიერ გამოთქმული შენიშვნები მოეწერა. ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა შენიშვნების მიღების შემდეგ კრება დაგვენიშნა ქ. ტფილისში წესდებისა და შენიშვნების განსახილველად, მაგრამ იმ ხანებში რუსეთის გაზეთებში დაიბეჭდა შენიშვნა, რომ უმაღლესს მთავრობას ჰსურს ნორმალურის წესდების შედგენა ამგვარ საზოგადოებათა დასაარსებლადაო და ჩვენც საჭიროდ დავინახეთ მოგვეცადნა ამ წესდებისათვის. შარშან ზაფხულში ერთმა -ქართველმა სტუდენტთაგანმა მოგვიტანა ხელ-ნაწერი წესდების ნიმუში, რომელიც შეუდგენიათ ქართველ სტუდენტებს და დაგვავალა განხორციელება ამ საქმისა, როგორც საჭიროდ დავინახავდით. რაკი ახლა, როგორც ადგილობრივს გაზეთებში იყო გამოცხადებული, უკვე დამტკიცებულია ნორმალური წესდება, ამისათვის ჩვენ ამ მოკლე ხანში მოვიწვევთ კრებას და წარვუდგენთ როგორც ჩვენ მიერ შედგენილ წესდებას, აგრეთვე ამ წესდების შესახებ გამოგზავნილს შენიშვნებს და სტუდენტთა მიერ შედგენილს წესდებასაც.

თუ სხვებსაც ჰქონდათ განზრახვა ამნაირის საზოგადოების შედგენისა, წესდებაც ჰქონიათ დაწერილი და ჩვენსავით მიჩუმებულან, საჭიროა ყოველი ნიმუში წესდებისა დაიბეჭდოს ას-ასი თანა და ერთს ადგილას, ერთს პირთან გაიგზავნოს, რომელიც მოიწვევს კრებას, ხოლო მიწვეულთ წინადვე გაუგზავნის თითო თანას ყოველ წესდებისას განსახილველად და კრებაზედ სათქმელ შენიშვნების მოსამზადებლად.

კრების დანიშვნას ვაპირებდით მარტის შუა რიცხვებში. სასურველია, ათ მარტამდე დაიბეჭდოს ყველა წესდებანი, რომ დროზედ გაეგზავნოს კრებაზედ მოსაწვევ პირთ.

უმორჩილესად ვთხოვთ „ივერიის“ რედაქციას ამოირჩიოს პირი, რომელსაც უნდა გარდაეცეს წესდებათა ნიმუშები და მიენდოს კრების მოწვევაც.

ალ. ჯაბადარი, ს. ინასარიძე.

26 თებერვალი, 1895 წ.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს [illegible]

რედ.

## როგორ უნდა მოვაწყოთ სასოფლო სკოლები.

(პასუხი ნაცნობს).

ჩემმა წერილებმა „როგორ მოვაწყოთ სასოფლო სკოლები“ („ივერია“ № 23, 24) გამოიწვიეს პასუხი ბ-ნის ნაცნობისა, სათაურით — „საოცარი პროექტი“ („ივერია“ № 31).

რადგან აღძრულია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჩემ მიერ დასურათებული პროექტი სასოფლო სკოლებისა ვითომ ბევრ ად უარესი იყოს ოფიციალურს გეგმაზედ, ამიტომ მოვიყვან აქ ორივე სიებს გაკვეთილებისას; შევადაროთ იგინი ერთმანეთს და დასკვნაც გამოვიყვანოთ. აი ეს სიებიც ერთის კვირისა:

| | ჩ ე მ ი თ | | ოფიციალურით |
|---|---|---|---|
| | ორ-წლიან სკოლაში. | სამ-წლიან სკოლაში. | სამ-წლიან სკოლაში. |
| საღმრთო წერილი ქართულად . | 6— 6 | 4— 4— 4 | 2 — 3 — 3 |
| ქართული კითხვა და წერა . | 8— 8 | 5— 5— 5 | 7 — 5 — 5 |
| გალობა-სიმღერა . . . | 1— 1 | 1— 1— 1 | „ — „ — „ |
| არითმეტიკა ქართულად . . . | 3— 3 | 2— 2— 2 | $1^1/_2$— $1^1/_2$— $1^1/_2$ |
| იგივე რუსულად . . . | 3— 3 | 2— 2— 2 | $1^1/_2$— $1^1/_2$— $1^1/_2$ |
| რუსული კითხვა და წერა . | 10—10 | 7— 7— 7 | 6 — 7 — 8 |
| თვალ-საჩინო სწავლა ქართულად | 2— 2 | 2— 2— 2 | 2 — „ — „ |
| იგივე რუსულად . . . | „— „ | „— „— „ | „ — 2 — 1 |
| აგრონომია . . . | „— „ | 6— 6— 6 | „ — „ — „ |
| ხელით მუშაობა . . . | „— „ | 6— 6— 6 | „ — „ — „ |
| სულ იქნება | 33—33=66; | 35—35—35=105; | 20 —20 —20=60. |

როგორც ჰხედავთ მოყვანილის ჯამებიდგან, რიცხვი გაკვეთილებისა, რომლებსაც აძლევს თვით მასწავლებელი ჩემ მიერ დასურათებულს სკოლებში სჭარბობს ოფიციალურს ორწლიან სკოლაში — 6-სის გაკვეთილით, ხოლო სამ-წლიანში — 45-თის გაკვეთილით.

დავთვალოთ ეხლა ისიც, თუ რამდენს საათს სწავლობენ მოსწავლენი ჩემ მიერ დასურათებულს სკოლებში და ოფიციალურში. ჩემ მიერ დასურათებულს ორ-წლიანს სკოლებში მოსწავლენი სწავლობენ მასწავლებელთ ხელმძღვანელობით 66 გაკვეთილსა, 40-ც წამიანს, რაიცა შეადგენს 44-ს საათს კვირაში; სამ-წლიან სკოლაში სწავლობენ 105 გაკვეთილს, აგრეთვე 40-ც წამიანს, რაიცა შეადგენს 70-ს საათს კვირაში, ხოლო ოფიციალურში სწავლობენ — 60 გაკვეთილს 20-ც წამიანს (თუმცა ოფიციალურის გეგმით 30 წამია დანიშნული თითო გაკვეთილზედ მასწავლებლით, მაგრამ ამ რიცხვს უთუოდ ათი წამი მაინც უნდა გამოვაკლოთ, რომელსაც მასწავლებელი მოახმარებს თავისუფალის გაკვეთილების მიცემას და გასინჯვას დანარჩენს ორს განყოფილებაში), რაიცა შეადგენს 20 საათს კვირაში.

იმ დროს, როდესაც ჩემ მიერ დასურათებულს სკოლებში მასწავლებელნი ასწავლიან მოსწავლეთ ორ-წლიანში — 44-ს და სამ-წლიანში — 70-ს საათს კვირაში, ოფიციალურში ასწავლიან ძლივს 20-ს საათს! ვკითხავ მკითხველსა: რომელმა სკოლამ უნდა მისცეს მოსწავლეებს უფრო მეტი და ნაყოფიერი სწავ ლა? რომელშიაც თვით მასწავლებელი ასწავლის მოსწავლეებს 44ს (ორ-წლიან სკოლებში) და 70-ს (სამ-წლიან სკოლებში) საათს კვირაში, თუ რომელშიაც იგივე მასწავლებელი ასწავლის ხოლო 20-ს საათს კვირაში!? პასუხი ცხადია. მაგრამ ესეც ცოტაა.

დავანაწილოთ ეხლა იგივე გაკვეთილები ქართულსა და რუსულს ენათა შორის და ვნახოთ, ვისის გეგმით უფრო კარგათაა მორთული სწავლა ქართულს ენაზედ და, თუ გნებავთ რუსულზედაც.

ჩემით:

ქართულად 20—20=40; 20—20—20=60;

რუსულად 13—13=26; 9—9—9=27;

ოფიციალურად;

$12^1/_2—9^1/_2—9^1/_2=31^1/_2$

$7^1/_2—10^1/_2—10^1/_2=28^1/_2$

აშკარათა სჩანს, რომ ჩემ მიერ დასურათებულს სკოლებში სწავლა ქართულს ენაზედ გაცილებით უფრო კარგად არის მოწყობილი, ვიდრე ოფიციალურში, ასე რომ ორ-წლიან სკოლაშიაც-კი უფრო მეტი გაკვეთილია ქართული ენისა, ვიდრე ოფიციალურის სამ-წლიანში ($8^1/_2$ გაკვეთილით) და ჩვენს სამ-წლიანში ხომ $28^1/_2$ გაკვეთილით უფრო მეტია კვირაში, ვიდრე ოფიციალურში.

იმ დროს, როდესაც მოსწავლენი ჩვენის ორ-წლიანის სკოლისა სწავლობენ ქართულს ენაზე სხვა-და-სხვა საგნებს 40 წ. 40×ე. ი. 26 საათს და 40 წამსა კვირაში და სამ-წლიანში — 40 წამს×60 ე. ი. 40 საათსა, იმავე დროს ოფიციალურის სკოლის მოსწავლენი სწავლობენ ქართულს ენაზე ხოლო 20 წამს×$31^1/_2$, ე. ი. 10 საათს და 30 წამს! ამ გვარადვე უკეთ არის დაყენებული რუსული ენის სწავლება ჩვენის გეგმით.

ორიოდე სიტყვა რუსულის სწავლაზედაც. პირველი წლის განმავლობაში და ზოგიერთ სხვა საგნებზედაც ჩემს წერილებში არსად არ არის მოხსენებული, რომ რუსული უნდა დავაწყებინოთ პირველის წლის დამდეგიდგანვე, როგორც გვისაყვედურებს ბ. ნ-ცნობი. ჩემს წერილებში ნაჩვენებია მხოლოდ რიცხვი გაკვეთილებისა და არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი, თუ როდის უნდა დაიწყოს მასწავლებელმა რუსულის სწავლება.

საზოგადოდ კითხვა უფრო საგნების სწავლების საქმეს (მეთოდიკას, დიდაქტიკას) ეკუთვნის, რომელზედაც ჩვენს წერილებში არაფერი გვქონდა ნათქვამი და ამიტომ სჯობს გავჩუმდეთ აქა. ვიტყვით ხოლო, რომ ჩვენის გეგმით სწავლა ქართულს ენაზე სწარმოებს სრულიად დამოუკიდებლად და თავისუფლად, მაშინ როდესაც, ოფიციალურით — იგი უფრო დამოკიდებულსავით არის, უფრო თანაშემწეა რუსულისა! მგონია, საკმაო იყო მარტო ის გარემოება, რომ უკუღმართობად არ მოეხსენებინა ბ. ნაცნობს ჩვენი ცდა და ხმა სასოფლო სკოლების დროს შესაფერად მოწყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზე! მე მგონია რომ ბ. ნაცნობმა სრულიად ვერ გაიგო, სად და რასა ვცემთ ჩვენ კვერსა, რადგან უმთავრესი აზრი ჩვენის წერილებისა სულ სხვაა და ეგ სია გაკვეთილებისა ხოლო დაახლოვებითი და ცვალებადია... რუსულის სწავლებაში უმთავრეს აზრად უნდა გვქონდეს წერა-კითხვის ხეირიანად შესწავლა ამ ენაზე და რაც შეეხება დანარჩენის საგნების სწავლებას, იგი ხოლო მათის ტეხნიკურის მხარის შესწავლას უნდა დააწვეს, ე. ი. მოსწავლემ უნდა იცოდეს უფრო ლექსიური მხარე საგნისა, ხოლო თვით ცოდნა-კი იმავე საგნებზედ მოსწავლემ უნდა შეიძინოს ქართულს ენაზედ.

„ოფიციალური გეგმა საჭირო ვადად რაცხს დაბალი განათლების მიღებისათვის სამს წელიწადსო („ევროპაში 6 წელიწადი სულ უმცირეს ვადად მიაჩნიათო, რუსეთში ახლა მეოთხე წელსაც უმატებენო“) ბრძანებს ბ. ნაცნობი, „როსტომაშვილი-კი საკმარისად სთვლის მხოლოდ ორს წელიწადსაო“.

იმაზედ უკეთესი რაღა იქმნებოდა, რომ ყველა სოფელში 6-ს წლიანი ხეირიანი სკოლები იყოს, მაგრამ ეს ხომ ცალიერი ოცნებაა! მაგრამ ექვს-წლიანი სკოლაც არის და ექვს-წლიანიცა! თუ თქვენ ექვს-წლიან სკოლას გახსნით და ერთს მასწავლებელს-კი მოახვევთ კისერზედ, მე ისევ ორ-წლიან სკოლას ვირჩევ და დარწმუნებულიცა ვარ, რომ ამგვარი მცირე ვადიანი სკოლიდგან უფრო მეტი სარგებლობა ექნება სოფელსა, ვიდრე ექვს-წლიანიდგან. ექვს-წლიანი მხოლოდ მაშინ იქნება სასარგებლო, როცა მასში 5—6 მასწავლებელია და ეს-კი, მოგეხსენებათ, არც ერთს ჩვენს სოფელს არ შეუძლიან იტვირთოს. აგრეთვე უმჯობესია, რომ ორ-წლიანი სკოლის მაგიერ ყველგან სამ-წლიანები მაინც იყოს, მაგრამ რადგანაც ესეც ყოვლად შეუძლებელია პატარა სოფლებისათვის, ამიტომ ჩემის აზრით ისევ ორ-წლიანი სჯობია. (და სადაც ესეც არ შეუძლიანთ ჯერ-ჯერობით, ხოლო ერთ-წლიანს უბრალო წერა-კითხვის სკოლასაც სიამოვნებით მივეგებები) და კიდევ დარწმუნებული ვარ, რომ ეს ორ-წლიანი სკოლა, მაინც, გაცილებით მეტსაც და უფრო კარგადაც ასწავლის თავისს მოსწავლეებს, ვიდრე ეხლანდელი სამ-წლიანი სკოლა, რადგანაც როგორც ცხადად დავინახეთ ზემოთ-მოყვანილი შედარებიდგან: 1) მოსწავლენი უფრო ერთი-ორად მეტს დროს სწავლობენ მასწავლებლის ხელმძღვანელობით, თუმცა საერთოდ-კი ნაკლებ დროს ახმარებენ სკოლაში ყოფნას; 2) მასწავლებელი უფრო მოსვენებული და კარგს პირობებშია, ვიდრე ეხლანდელს მრავალ—განყოფილებიან სასწავლებელში; 3) სწავლა სამშობლო ენაზედ სრულიად დამოუკიდებლად სწარმოებს, რაიცა მეტად უშველის მოსწავლეთა თავისუფალს განვითარებას და სხვა...

რაც შეეხება იმას, რომ ბ. ნაცნობი ადარებს ჩემს გეგმას წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლის გეგმას, უნდა ვსთქვა, რომ ბ. ნაცნობს სრულიად ვერ გაუგია ჩემის წერილების საგანი. იქ მე ვლაპარაკობდი ჩვეულებრივს სასოფლო სკოლებზედ და ბ. ნაცნობი-კი ადარებს ჩემს გეგმას წინამძღვარიანთ-კარის ექვს-წლიან სპეციალურს სამეურნეო სასწავლებლის გეგმას, რომლის მსგავსი მთელს მაზრაში ხოლო ერთი ან ორი შეიძლება წარმოვიდგინოთ და რომლის წლიური ხარჯი უთუოდ 5—6 ათასს მანეთსაც აღემატება... ცხადია, რომ შედარება ჩემის გეგმისა ჩვეულებრივი სასოფლო სკოლების უმჯობესად მოწყობაზედ წინამძღვარიანთ-კარის სკოლის გეგმასთან სრულიად უადგილოა...

ბ. ნაცნობი, როგორც ეტყობა, დიდად მოწადინებულია, წინამძღვარიანთ-კარის სკოლის მსგავსისთანა სკოლების დაფუძნებას ჩვენის ქვეყნის ყველა სოფლებში და მე-კი მისაყვედურებს, რომ „მთელს სამს—ჯამაგირიანს პირს ახვევს კისერზედ სოფელსა: მღვდელსა, მასწავლებელსა და აგრონომსაო“.

არ ვიცი, რა ნახა აქ საკვირველი ბ. ნაცნობმა! ჯერ—ერთი, რომ ორ-წლიანს სკოლებს მე ურჩევ, უფრო პატარა სოფლებს და სამ-წლიანებს და სამს მასწავლებელს-კი უფრო მდიდარს სოფლებს, სადაც ეხლაცა ჰყავთ სამი და ხშირად მეტი მასწავლებელიცა, მაგრამ სწავლა-კი იქ მაინც ვერ არის მოწყობილი, რომ, მცირეოდნათაც—არის, დააკმაყოფილოს ხალხის მოთხოვნილება დასაჭიროება...

რაც შეეხება იმასა, რომ სასოფლო სკოლა უნდა იყოს მხოლოდ წერა-კითხვის სასწავლებელი და მასში ადგილი არ უნდა ჰქონდეს სამეურნეო და ხელით—მუშაობის საგნების გაცნობას, უნდა ვსთქვათ შემდეგი:

სამეურნეო და ტეხნიკური ნაწილი იმ მრავლად შეიცავს ზოგადის სწავლის ელემენტებს, რომ არ ვიცი, რამ აცულა ადამიანები, რომ ეს საგნები აქამომდე ისეთივე ვალდებულ საგნებად არ არიან აღიარებულნი სკოლეში, როგორც წერა-კითხვა, არითმეტიკა და მისთანები, მით უმეტეს, რომ ეს საგნები, თითქოს, ზედგამოჭრილი სასწავლო საგნებია ყველა პირველ-დაწყებითის სკოლისათვის!.. მოგეხსენებათ, რომ უმეტესს შემთხვევაში, ყმაწვილებს აქვთ არასრული და სწორი წარმოდგენა მათ გარშემო მყოფს საგნებზედ; ვინ და რამ უნდა შეავსოს და შეასწოროს ეს წარმოდგენანი, თუ არ სკოლამ?!. მოგეხსენებათ, რომ ყმაწვილებმა ხშირად არ იციან სულ უბრალო საგნები, რომელიც ყოვლად ადვილი გასაგებია მათვის. ვინ და რამ უნდა გააცნოს ისი ამ საგნებს და მით გაამდიდროს მათი გონება ახალის ცოდნის შენით, თუ არ სკოლამა?!. მოგეხსენებათ, რომ სკოლის ვალია შეაჩვიოს ყმაწვილები განუწყვეტელს სწორ ფიქრსა, აზროვნებას, მსჯელობას და ეს-კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვს საკმაოდ აქვთ შეძენილი სწორი სრული წარმოდგენა მათ გარეშემო მყოფს საგნებზედ, მოვლენებზედ, მოქმედებებზედ, წარმოებებზედ! მოგეხსენებათ, რომ ისე არაფერი ავარჯიშებს და ახალისებს ადამიანის გონება-ხელობას, როგორც გამოცდა—დაკვირვებას! დასასრულ, მოგეხსენებათ, რომ ოთახში და მხოლოდ წიგნით სწავლება აძლევს ადამიანს ხოლო ეგრედ-წოდებულს მოჩვენებითს წარმოდგენებს (нимыя представленія), რომელიც არიან უმთავრესნი საფუძველი ადამიანის უკუღმართის მიმართულებისა, უკუღმართის მსჯელობა—აზროვნებისა!..

აი, ასაცილებლად ამ უკუღმართობისა მოზარდ თაობის სწავლა-აღზრდაში ერთად-ერთი საშუალებაა —მეურნეობისა და ხელით მუშაობის შემოტანა ჩვენს სკოლებში, რადგანაც, ხოლო ისინი არიან ხელ-მისაწვდომნი ბავშვებისათვის და ხოლო მათ შეუძლიანთ საკვებ საფუძვლად დაედვან ნამდვილს (არა მოჩვენებითს) სწავლასა, რადგანაც ხოლო ისინი არიან ერთად-ერთი საგნები, რომლებიც საკმაოდ შეიცავენ, როგორც თვით მეურნეობისა და ტეხნიკის, ისე ფიზიკის, ქიმიის, ბოტანიკის, ზოოლოგიისა და მინერალოგიის ელემენტებს, რომლებთან გაცნობა მარად უნდა შეადგენდეს გამოუკლებელს ნაწილს ყოველ-გვარის პირველ-დაწყებითის სწავლისას...

ვიმეორებთ: დრო არის სრულის სავსებით უარ-ვყოთ დღევანდელი უსაგნო სწავლა-აღზრდა და მის მაგიერ შემოვიღოთ საგნური, ცხოვრებითი, ხალხური, რათა თვით მიმართულება მოზარდის თაობის მოქმედება-აზროვნებისა იყოს ნამდვილი, ცხოვრებითი და არა უკუღმართი და მოჩვენებითი!..

ი. როსტომაშვილი.

ქ. ტფილისი.
18 თებერვალს 1895 წ.

## სიტყვა.

სიტყვა ბ-ნის ა. ხ. ვერმიშევისა განსვენებულის აშილ მურატის დასაფლავების დროს თქმული.

მე, როგორც ერთს შვილთაგანს კავკასიისას, ზნეობრივი ვალი მაწევს, უკანასკნელად გამოთხოვების წამს გითხრა ორიოდე გულწრფელი სიტყვა, რადგან შენ დიდი ღვაწლი მიგიძღვის კავკასიის ერთის კუთხისა სამეგრელოსადმი. არ შევუდგები იმისს განხილვას, თუ როგორ წარჩინებულნი იყვნენ შენნი წინაპარნი, რადგან ეს, ვისაც ცოტაოდნად მაინც გადაუფურცლავს საფრანგეთის ისტორია, ძალიან კარგად უწყის; არც შევეხები, თუ როგორის ოჯახის კაცი იყავი, ესეც კარგად იცის ყველამ, ვინც-კი დაახლოვებით გიცნობდა. მე მსურს საზოგადოების ყურადღება მივაქციო იმ დარგს, იმ ნაწილს შენის მოღვაწეობისას, რომელიც სასარგებლო და ნაყოფიერი იყო ჩვენის ქვეყნისათვის. 17 წელი დაჰყავი შენ სამეგრელოში და ამ ხნის განმავლობაში ერთი საათიც არ გაგიცდენია უსაქმოდ. როგორც უბრალო მუშა, შენ გამოდიოდი სამუშაოდ, თითონ ჰბარავდი, ჰხნავდი და ჰრგავდი და იმისათვის-კი არა, რომ შენ არ შეგეძლო საჭირო მუშების დაქირავება, არამედ ამით გსურდა ჩვენის ხალხისათვის გეჩვენებინა კარგი მაგალითი, გესწავლებინა, თუ როგორ უნდა ცხოვრება. მართლაც ბევრმა წაგბაძა და მიჰყო ხელი მუშაობასა! აი ეს ადგილები, რომელსაც ეხლა ჩვენ თვალ-წინ ვხედავთ, რამდენისამე წლის წინად იყო მოფენილი ბუჩქნარითა, წნორითა და ტყითა, დღეს-კი აქ გაშენებულნი არიან ვაზის პლანტაციები! შენმა დაუცხრომელმა მხნეობამ, დაუღალავმა შრომამ ბუჩქნარები ნაყოფის მძლევ ვაზებად აქცია!

ეს მხოლოდ მცირედი ნაწილია შენის მოღვაწეობისა. მიუხედავად იმისა, რომ განათლებულს დასავლეთ-ევროპას ჩვენ გვაშორებენ უძირო ზღვანი, ზამთარ-ზაფხულობით თოვლით მოსილნი მთები, შენ გსურდა სამეგრელოსა და ევროპას შუა გაგეკეთებინა ხიდი, გაგება შემაერთებელი ძაფი, რომლის საშუალებითაც ჩვენ შევძლებოდა დასავლეთ-ევროპის გაცნობა, მისდა წახედვით ჩვენც დაგვეწყო მუშაობა და მიგვეღო სწავლა-განათლება... ეს სურვილი ცოტაოდნად კიდევაც მოიყვანე აღსრულებაში: ეხლა საფრანგეთი კარგად იცნობს სამეგრელოს და ჩვენც ვიცით, თუ როგორი განათლებული და შრომის მოყვარე ქვეყანა არის საფრანგეთი. ვინ იცის, რომ დაგცლოდა, შენი განზრახვა სრულიად განგეხორციელებინა, მაგრამ უდროოდ მოჰშორდი ამ ქვეყნიერებას და საგანს სავსებით ვერ მიაღწიე!..

## რუსეთის ცხოვრება.

—

განზრახვა აქვთ გააუქმონ: პრივისლიანის გუბერნიის საგლეხო ბანკის განსაკუთრებული ოპერაციის წეს-რიგი და ამ გუბერნიაშიც გაავრცელონ ამ ბანკის საზოგადო წესდება. გარდა ამისა განზრახვა აქვთ, საგლეხო ბანკის მოქმედება გაავრცელონ ციმბირსა, საქართველოში და ბალტიის გუბერნიაში. საგლეხო საადგილ-მამულო ბანკის საბჭოს წევრების რიცხვს ერთი კიდევ უნდა მიუმატონ დასახელებულს ადგილებში ოპერაციის საწარმოებლად.

—

გაზეთი „ნედელია“ იუწყება, რომ ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესს მმართველობას განკარგულება მოუხდენია, რომლის ძალით ამიერიდგან ნება მიეცათ პოლონელთა გუბერნიების ტელეგრაფის სადგურთ პოლონურს ენაზე დაწერილი დეპეშა მიიღონ და ჰგზავნონ პოლონეთის გუბერნიებში და პეტერბურგს.

—

გაზეთ „ბირჟ. ვედ.“-ის სიტყვით, ამ დღეებში ქალაქ ვორონეჟიდგან 430 ქალისაგან ხელმოწერილი შუამავლობა გაგზავნილა პეტერბურგს. შუამავლობა საქალო მედიკურ უმაღლესის სასწავლების დაარსების საჭიროებას შეეხება. ამბობენ, ამგვარსავე თხოვნებს სხვა ქალაქების ქალებიც ჰმზადებენო.

—

პეტერბურგის ერთს გაზეთს გაუგზავნია, რომ ამ წლის შემოდგომაზედ პეტერბურგში მოწვეულ იქმნებიან საადგილ-მამულო ბანკების წარმომადგენელნი, რომელთაც სხვა-და-სხვა საყურადღებო საგნებსა შორის მელიორატული კრედიტის საქმეც უნდა განიხილონო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

მკითხველებმა უკვე იციან, რომ რუსეთის ერობათა უკანასკნელს კრებებზედ რამდენიმე ფრიად საყურადღებო საგნის შესახებ იყო აღძრული ბაასი და დადგენილ იქმნა ამ საგნების შესახებ უმაღლესის მთავრობის წინაშე შუამავლობის წარდგენა. ზოგი ერობა ჰშუამავლობს „როზგის“ მოსპობის შესახებ, ზოგი სახალხო სკოლებში სავალდებულო სწავლის შემოღებას, და ზოგიც იმას, რომ სამუდამოდ მოსპობილ იქმნას სწავლის ფასი. ერობათა ამ გვარი მოღვაწეობა საშინლად სწყინს გაზეთ „მოსკ. ვედ.“-ს. გაზეთი იმის განხილვაში როდი შედის, როგორია ესა თუ ის დადგენილება, ცუდი თუ კარგი, მავნებელი თუ სასარგებლო ერისათვის, მას აწუხებს მხოლოდ ის გარემოება, რომ როგორა ჰბედვენ ერობანი საერთო სახელმწიფო საგნების შესახებ სჯასაო! ვინ მისცა მათ ნება საზოგადო მნიშვნელოვანი პროექტები განიხილონ და თავ-თავიანთი სჯა დაასკვნანო?! შემდეგ გაზეთი გაკვირვებულია იმითი, რომ თითქმის ყველა ერობათა კრება ერისა და იმავე საჭიროებაზე ლაპარაკობენ, ერთნაირს შუამდგომლობას ჰქადაგებენო. ამის მიზეზად გაზეთს შემდეგი მოსაზრება მოჰყავს:

„უნდა ვიგულისხმოთ, რომ პროვინციასა და ერობათა შორის დიდი აგიტაცია არის გამართული. ადგილობრივი სხვა-და-სხვა დაწესებულება ცალკე-კი არ მუშაობს, არამედ ერთმანეთთან შეთანხმებით, რომ ამით გავლენა მოიპოვონ მთავრობაზედ. ასე იყო, მაგალითად, 1881 წელს, როდესაც სხვა და-სხვა ერობამ კონსტიტუციის მოთხოვნაც განიზრახა“.

მოიყვანს-რა ამ მოსაზრებას, მოსკოველი გაზეთი ურჩევს მთავრობას, ერობათა შუამავლობის არსებითად გარჩევაც არა ღირსო და რადგანაც აგიტაციის ნაყოფი „პეტიციები“ არის წარდგენილი, ამიტომ სრულიად უარყოფილი უნდა იქმნასო!

—

გაზეთი „Times“-ი აი რასა სწერს თავად ლობანოვ-როსტოვსკის გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშვნის გამო.

თავადი ლობანოვ-როსტოვსკი თავისის პირადის ხასიათით ბევრით განირჩევა თავისს წინამოადგილე გარდაცვალებულის მინისტრის გირსისაგან, მაგრამ, როგორც დიპლომატი და სახელმწიფო კაცი, იმავე მიმართულებისაა. იგი მეტის-მეტი ფრთხილი და წინ-დახედული კაცია და მტერია „შემთხვევისა და ინტრიგის პოლიტიკისა“, იმ პოლიტიკისა, რომელიც ასე ძალიან უყვარს მრავალს მისს თანამემამულეს. თავ. ლობანოვ-როსტოვსკის მოღვაწეობის თვალ-საჩინო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს მისი ელჩად დანიშვნა სტამბოლში, იმ დროს, როდესაც ახალი შეწყვეტილი იყო რუს-ოსმალოს ომი, და როდესაც რუსეთი „თავ-დაჭერილს“ პოლიტიკას უნდა დასდგომოდა. შემდეგ თავადი ლობანოვ როსტოვსკი დაინიშნა ელჩად ვენაში იმ დროს, როდესაც ავსტრიისა და რუსეთის ურთიერთობა გამწვავებული იყო“.

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** „Gaulois“-ში დაბეჭდილია საყურადღებო მიწერ-მოწერა, რომელიც გამართული ჰქონიათ ერთმანეთში დუკის მეუღლეს დ' იუზესს და ორლეანის დუკს, პარისის გრაფის მემკვიდრეს. ამ რამდენიმე წლის წინად პარისის გრაფმა ქ ნ დ' იუზესაგან სამი მილიონი ფრანკი ისესხა ბულანჟისტთა დასახმარებლად და აღუთქვა, რომ შენს ვალს სამეფოს დამკვიდრების შემდეგ გადაგიხდიო.

ახლა ორლეანის ჰერცოგი სწერს ქ ნ დ' იუზეს, რომ საღმრთო ვალად მიმაჩნია მამიჩემის მიერ აღებული 3 მილიონი ფრანკი გადაგიხადოთო, მაგრამ რადგანაც ამ ჟამად მაგდენი

ფული არა მაქვს, თქვენს ვალს მაშინ გადაგიხდით, როდესაც ,,ღმერთი შემეწევაო‘‘. საქმე იმაშია, რომ ორლეანის დუკს წელიწადში სულ 200,000 ფრანკი აქვს შემოსავალი და,რასაკვირველია, ერთბაშად სამს მილიონს „ღვთის შეუწევნელად“ ვერ გარდაიხდის.

ჰერცოგინა დ'იუზესმაც თავის მხრივ ტკბილ-კილოიანი წერილი მისწერა და აღიარა, რომ „მე ფულები პირადად გრაფს-კი არ ვასესხე, არამედ ეს ფულები გავიღე იმ საქმის სასარგებლოდ, რომელსაც გრაფი ემსახურებოდა, რადგანაც პატრიოტულ საქმედ მიმაჩნიაო. და ახლაც, თუ ღვთის ნება იქნება და ფულები მივიღე, მე-კი არ მოვიხმარებ, არამედ ღარიბებს მოვახმარებო.

დასასრულ, უნდა ვსთქვათ, რომ მარტო პარისის გრაფს არ გაუწევია ბულანჟესათვის დახმარება. ამ „ყოჩაღის გენერალისათვის“ ყველა მონარქიეტებს რვა მილიონ ფრანკამდის გადაუციათ.

—

**გერმანია.** ბერლინის პოლიციამ ამ დღეებში გააუქმა ქალების კომიტეტი, რომელიც ჰხელმძღვანელობდა ქალების მოძრაობას და მათ შორის სოციალიზმს ავრცელებდა. ამ კომიტეტის გაუქმების უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ თავისის მოქმედება მთელს გერმანიაში გაავრცელა. კომიტეტი მშვენიერად იყო მოწყობილი. ბებელი და ლიბკნეხტი დიდს დახმარებას უწევდნენ. ყველაზედ უფრო თავ-გამოდებით ჰმოქმედებდა ამ კომიტეტის წევრი ქ-ნი არერი, მეაფთიაქეს ცოლი. ამ კომიტეტს თავისი საკუთარი ორგანო ჰქონდა, რომლის რედაქტორიც ქ-ნი კლარა ცეტკინი იყო.

---

## ბიბლიოგრაფია.

„ქართული სახალხო სიმღერა და მისი დღევანდელი მდგომარეობა“,

ი. ი. იპოლიტოვ-ივანოვისა.

პატივცემულს ი. ი. იპოლიტოვ-ივანოვს, რომელიც კარგა ხანი იყო (1882 წ. 1893 წლამდის) ტფილისში, აქაურ მუსიკალურ სასწავლებლის დირექტორად, ზედ-მიწევნით შეუსწავლია ქართული სახალხო სიმღერები და მოკლე ისტორიულის განმარტებით შეუდგენია წიგნი ,,ქართული სახალხო სიმღერა და მისი დღევანდელი მდგომარეობა“, რომელსაც დართული აქვს ნოტებზედ გადაღებული 12 სხვა-და-სხვა სიმღერა-რომანსების ნიმუშები.

ი. ი. იპოლიტოვ-ივანოვი ჯერ ისევ კონსერვატორიაში თურმე სწავლობდა, რომ მას საშინლად შეუყვარდა, როგორც თითონ ამბობს, ქართული სიმღერები; ამ სიმღერებს იგი ქართულს კავკასიურს საღამოებზედ ისმენდა თურმე პეტერბურგში, ან და ქართველ მოსწავლე ახალ-გაზდობისაგან, რომლებთანაც თურმე ატარებდა უმეტეს ნაწილად დროს. იპოლიტოვ-ივანოვს დიდი სურვილი ჰქონდა ადგილობრივ, საქართველოში, გაეგონა ეს მისთვის საყვარელი კილო და კიდეც აუსრულდა წადილი, რადგანაც ამ წადილს თვით გარემოება დაეხმარა. 1882 წ. იპოლიტოვ-ივანოვი ტფილისის მუსიკალურ სასწავლებლის დირექტორად დანიშნეს. მაგრამ მხოლოდ სამის წლის შემდეგ ძლივს მოახერხა თურმე კახეთს გამგზავრება იმ აზრით, რომ ადგილობრივ, სოფლად, მოესმინა წმინდა ქართული სახალხო სიმღერები. ამ დროს კახეთს მიდიოდა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს საბჭოს წევრი ი. პ. არხიპოვი, რომელსაც სამსახურით ჰქონდა დავალებული იქ წასვლა და აი, ამასთან ერთად ბ-ნი იპოლიტოვ-ივანოვიც კახეთს გაემგზავრა. როგორც თითონ სწერს, იგი ყოფილა თელავში, წინანდალში, ენისელში და ალაზნის გამოღმა სიღნაღის მახლობლად ზოგიერთს სოფლებში.

„მგზავრობა შემოდგომაზედ მომიხდა, როდესაც შედარებით უფრო მხიარულია მუშა ხალხი, რთველობას, მაგალითადაო, ამბობს ბ-ნი იპოლიტოვ-ივანოვი.“

›ჩემ მიერ შეკრებილმა მასალამ, აქა-იქ ჩაწერილმა სხვა-და-სხვა სახალხო სიმღერებმა, რომელიც შემდეგში გავარჩიე, შემდეგი დასკვნა გამომაყვანინა, ე. ი. ის, რომ ბევრი მათგანი არ არის ქართულიო.› ბ-ნ იპოლიტოვ-ივანოვის სიტყვით, ქართველებს ბევრი არაქართული სიმღერებიცა აქვთ მითვისებული, როგორც ყველა სხვა ერსაც. ეს უკანასკნელები გარეგან გავლენით არის ხალხში დარჩენილი, რადგანაც საქართველოს მუდმივი-რამ დამოკიდებულება ჰქონდა სხვა მეზობელ აზიურ სახელმწიფოებთან.

„ხოლო ნამდვილი კილო ქართულის სახალხო სიმღერებისა ძველის-ძველად დარჩენილია და შეუცვლელად შენახულა კახეთის ზოგიერთს მივარდნილს სოფლებში: ყველა ისინი ერთმანეთს ძალიან ემზგავსებიან, რადგანაც ერთისა და იმავე დიატონიკურის აგებულებისანი არიან, კავკასიის სხვა ერთა სიმღერებისაგან განირჩევიან იმითი, რომ მათში ნათლად გამოსჭვრეტს ქართველობის მამაცობა, მეომრობა, მათი სხვა-და-სხვა მეზობელ სახელმწიფოთაგან ისტორიულად შევიწროებული სასტიკი ცხოვრება, განირჩევიან თვისის სიმრკვივით და არ მოიპოვება იმათში ის ხრომატიზმი მგრძნობიარე სილამაზე,რომლებიც კავკასის სხვა ერთა სიმღერების აუცილებელს თვისებას შეადგენს“; აი როგორ ახასიათებს საზოგადოდ ქართულს სახალხო სიმღერებს ბ-ნი იპოლიტოვ-ივანოვი.

ეს მოკლე დახასიათება „ივერიის“ 34 №-შიაც გვქონდა, რომელზედაც ისეთის ინტერესით ლაპარაკობდა ჟურნალ „არტისტის“ იანვრის №-ში თვით ავტორი ზემოხსენებულის წიგნისა და მერე გაზ. „მოსკ. ვედ.“-ში მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი კორეშჩენკო.

იპოლიტოვ-ივანოვის აზრით ქართულს საეკკლესიო საგალობლებს და სახალხო სიმღერებს ერთი და იგივეე ძირი აქვთ, საერთო დედა-კილო; ხოლო ამ უკანასკნელთა და ძველს ბერძნულს საერო და საეკკლესიო სიმღერებსა და საგალობლებს შუა საერთო ის არის, რომ მთავარი კილო, დედა-ხასიათი ამ ორის ერის სიმღერა-საგალობლებისა ერთი და იგივეა, რომელიც მათის ხალხურის სულიერ თვისებათა შემაერთებელ ძაფად გარდაქმნილა მუსიკის მხრივ.

ამის შემდეგ ბ-ნს იპოლიტოვ-ივანოვს მოჰყავს ის მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობდა სახალხო ქართულ სიმღერების ასეთს ხასიათის შემუშავებას. „საქართველოს მდიდარი და მრავალ-ფეროვანი ბუნება ერთის მხრივ მათ გარდაექცათ მდიდარ პოეზიის დაუშრეტელს წყაროდაო და მეორეს მხრივ ქართულ სახალხო სიმღერების უმეტეს ნაწილის მოწყენილ კილოს მიზეზად ქართველების მუდმივს მტერთან ბრძოლას ასახელებს, რომელთაც (მტრებმა) თავისის მხრივ, თუმცა ძალიან მცირედ, მაგრამ მაინც იქონიეს თავისი გავლენა ქართულს სახალხო სიმღერებზედაო. მაგალ. ხმის გაგრძელება სპარსელ-თათრებისაგან მიითვისეს და კლიმანჰურები არაბთაგანაო. მაინც ქართულს სახალხო სიმღერებზედ გარეშე ხალხთა კილო-სიმღერებმა დიდი გავლენა ვერ იქონიეს და დღემდის თავისებურად შემუშავებული ხასიათი შერჩა ქართულს სიმღერებსაო“.

რადგანაც საშუალება არ ჰქონდა ბ-ნს იპოლიტოვ-ივანოვს, უფრო უძველესს ისტორიიდგან შეეტყო ამის შესახებ ცნობები, იგი ქართულ სახალხო სიმღერებისა, თუ საეკკლესიო საგალობლების აღორძინებას მე-IV საუკუნეს აწერს, ე. ი. იმ დროს, როდესაც ქართველობამ ქრისტიანობა მიიღო და ამბობს, რომ სწორედ ქრისტიანობის გავლენის ქვეშ გაკეთილშობილდა და გაფაქიზდა ქართული საგალობლები, თუ ქართული საეკკლესიო სიმღერებიო.

რა ნაირად და ვისგან ვრცელდებოდა ძველად, ან ეხლა ვინ არის ქართულის სახალხო სიმღერების ხალხში გამავრცელებელი, იგი ასახელებს მესტვირეებსა და აშუღებს, რომელნიც სოფლით-სოფლად დადიან და რომლებსაც ხალხი დიდად პატივს-სცემს. ესენი აცნობებენ ხალხს სხვა და-სხვა ისტორიულს გმირებს, მოუთხრობენ (სიმღერით) საღმრთო წერილის ზოგიერთს შესანიშნავს ადგილებს, უმღერენ და ამკობენ სიმამაცეს, მამულის სიყვარულს, სილამაზეს და ქველობას. ასეთია მოქმედება მესტვირეებისა; ხოლო აშუღნი უმეტეს ნაწილად ქალაქებში არიან და იმავე პროგრამით ჰმოქმედებენ, როგორც მესტვირეები.

მაგრამ ამ ორის მესაკრავეთა გუნდის გარდა, ქართველს ხალხში, უფრო-კი ქალაქებში, არა ნაკლებ არის გავრცელებული ეგრედ წოდებული მესაკრავეთა გუნდი „საზანდარი“, რომელიც უმეტეს ნაწილად სპარსულსა და სხვა სიმღერებს უმღერენ ხალხსაო; ეს უკანასკნელი ქართველებისაგან შეთვისებულია მაშინ, როდესაც იგი სპარსთა გავლენის ქვეშ იყო, ე. ი. XVI და XVII საუკუნოებში, მაშინ, როდესაც საქართველოს ჰმართავდნენ მაჰმადის მორწმუნე მეფენი და ეს უკანასკნელნი ძალით ავრცელებდნენ ქართველებში თავისს ჩვეულებებს; ყველაზედ უპირველეს ამ გავლენას დაემორჩილა თავად-აზნაურობა, ხოლო უფრო გვიან ამავე გავლენამ გლეხის ქოხამდისაც მიაღწიაო. „ხშირად საზანდარი, სამართლიანად შენიშნავს იპოლიტოვ-ივანოვი, მღერის სულ სხვა ერის სიმღერას, თავისებურად და ცოტა სასაცილოდაც გადახვაფერებულს და ამ უკანასკნელს-კი ხალხი ისევე ეგებება, როგორც თავისს საკუთარს სამშობლო კილოსაო“.

ამ საუკუნეში, როდესაც ქართველებს სხვა-და-სხვა ერი ახვევია გარს, ქართველებში ძალიან გავრცელდა ევროპიული სიმღერები და თვით დაშორებულს სოფლებშიაც-კიო, ამბობს იპოლიტოვ-ივანოვი, ხოლო საზანდარი ზოგს მათგანს მეტად ულმობელად ეპყრობა, ამახინჯებს და მერე ასე დამახინჯებული სოფლებშიცა ვრცელდება მდაბიო ხალხში. ასეთი სვე ჰხვდათ, მაგ. ბოლგარიის მარშს ,,შუმი მარიცასა‘‘ და ვალსს ,,ნევოზვრატნოე ვრემიას‘‘. მაგრამ რადგანაც ეს მოვლენა სულ ახალია, ამ საუკუნის მოვლენა და ჯერ ყველგან არ არის ერთნაირად გავრცელებული, ამიტომ საჭიროა, ხალხმა არ დაივიწყოს, არ დაჰკარგოს ის ძვირფასი განძი, სახალხო კილო, რომელიც ჯერ განათლებას (მუსიკის მეცნიერებას) ხელ-უხლებლადა აქვს დატოვებული და რომელიც შეიძლება მუსიკის მხრივ მალე უკვდავების წყაროდ გარდიქცეს, ამბობს იპოლიტოვ-ივანოვი“.

ამ რიგად იპოლიტოვ-ივანოვი მხოლოდ ქართულ სახალხო და საეკკლესიო სიმღერა-საგალობლებსა და ბერძნულს შორისა ჰხედავს რაიმე ნათესაობას, რომელსაც ამტკიცებს შემდეგით: მაგალ. ,,უფალო შეგვიწყალენი‘‘ ფრიგიულს კილოზეა დაწერილიო და მოჰყავს ნოტებზედ გადაღებული ნიმუში,—,,ღირს არს ჭეშმარიტად‘‘ დორიულს კილოზედ,—ხალხური აკვნის სიმღერა ფრიგიულსა და ,,რეგვენი პატარძალი‘‘ (არაგვის ხეობაში ჩაწერილი) დორიულსაზედ. აგრეთვე ასახელებს ეოლიისა და იონიის კილოს, რომლის ნიმუშებადაც მოჰყავს თვით სიმღერა, ნოტებზედ გადაღებული.

დასასრულ, ბ-ნი იპოლიტოვ-ივანოვი ამბობს იმასაც, რომ შეიძლება ზოგიერთი ნაკლი ჰქონდეს მისს შრომას ენის უცოდინარობის გამო და ამიტომ ეს შემდეგმა მკვლევარებმა შეავსონო. დიდს მადლობას უძღვნის იგი პროფესორს ა. ხახანაშვილს, რომელსაც საჭირო ისტორიული მასალა გადუცია ამ წიგნის შესადგენად. მადლობას უძღვნის აგრეთვე კნეინა ს. ვ. ამირაჯიბისას, რომელსაც ნიმუშად მოყვანილის 12 სხვა-და-სხვა სიმღერის ლექსები ქართულიდგან რუსულად უთარგმნია და რუსულის ასოებით ქართულის ტექსტის გამოთქმა უსწორებია.

ჩვენის მხრივ მადლობის ღირსია, როგორც თვით იპოლიტოვ-ივანოვი, რომელსაც არა ცოტა დრო და მეცადინეობა დასჭირდებოდა ამ წიგნის შესადგენად, აგრეთვე კნეინა ამირაჯიბისა, რომელსაც ისე მშვენიერად უთარგმნია ლექსები, ილია ჭავჭავაძისა ,,მკრთალი ნათელი‘‘ ნ. ბარათაშვილისა ,,სულო ბოროტო‘‘ და ლექსი ,,ორთავ თვალის სინათლევ‘‘!

ზემოხსენებული კნეინა ამირაჯიბისა ძველის მხარგრძელების ჩამომავალია, ცოლი გამოჩენილის მეომარის გენერალ ლეიტენანტის მიხეილ ამირაჯიბისა; შარშან ამათმა შვილმა, რომელიც ოდესის უნივერსიტეტში სწავლობდა, დისერტაციაში ოქროს მედალი მიიღო და ეხლა პროფესორობისთვის ემზადება,—საზოგადოდ, ჩანს, რომ ამირაჯიბის ოჯახი ინტელიგენტურია, ხოლო თვით კნეინა ამირაჯიბისა კარგად განათლებულია ევროპიულად.

ამ წიგნს ბ-ნი იპოლიტოვ-ივანოვის თავისს მეგობარს ხარლამპი ივანეს ძე სავანელს უძღვნის.

ინ-ანი.

---

## „ივერიის“ ფოსტა.

—

**მთარგმნელებს:** უმორჩილესად ვთხოვთ ბ-ბ. მთარგმნელებს, რომ ინებონ და როდესაც თავისს ნათარგმნებს ჰგზავნიან ხოლმე, დაწერონ რომელ ენიდგან და ან რომლის ავტორის ნაწარმოებიდგან არის ნათარგმნი.

---


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ექიმი მ. ტურბოვიჩი. ქალი ა. 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

ი. ფ. ზრუტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

---

დიდი სააბრეშუმო ქარხნები

**მოლტიფაოში:** (კორსიკის კუნძულზედ, საფრანგეთში) **აბრეშუმის ჭიისა** ცელიულიარული **თესლი** (პასტერის სისტემით მომზადებული).

# ი. ალოიზისა.

მსყიდველთ შეუძლიანთ თესლი დაიბარონ ტფილისიდგან, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისაგან და ქ-ნ დ. სულხანიშვილისაგან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 39, თესლი იყიდება 3 და 5 მისხლიან კოლოფებით; მისხალი 60 კაპეიკად.

(6—869—5)

---

მეფე დავით აღმაშენებელი

**და იმისი დრო**

ისტორიული მონოგრაფია

ნ. ურბნელისა

**ფასი ორი აბაზი**


Дозвено цензурою, Тифлисъ 28-го Февраля 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე